**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**
**დადგენილება №01-05-04/78**

ქ. თბილისი 29 აპრილი 2020წ.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი საავიაციო ფაკულტეტის 2006-2007 წლების საერთაშორისო სამართლის კურსდამთავრებულების მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის 2019 წლის 29 მაისის N353/19 და 2020 წლის 29 იანვრის N51/20 წერილების, სტუ-ს 2005 წლის 15 ივლისის №60, 2002 წლის 2 აგვისტოს № 1410/05 და № 1441/05 და 2007 წლის 28 სექტემბრის №1472/05 ბრძანებების საფუძველზე და კურსდამთავრებულთა პირად საქმეებში არსებული მონაცემების გათვალისწინებით

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი საავიაციო ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის 5 წლიანი საგანმანათლებლო

პროგრამის 2006/2007 სასწავლო წლების კურსდამთავრებულებს ეღიაროთ მათ მიერ მე-10 სემესტრში გავლილი წინასადიპლომო პრაქტიკა 30 კრედიტის ფარგლებში და მოხდეთ მათ მიერ გავლილი ერთსაფეხურიანი, 5 წლიანი პროგრამის დადასტურება უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

2. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**